



საქართველოსა და იაპონიას შორის 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობები

საჯარო დისკუსია

7 სექტემბერი, 2022 | 12:00 - 13:45 (GMT+4)

ენა: ინგლისური

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, აუდიტორია 107**

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გინვავთ საჯარო დისკუსიაზე - „საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავი“, რომელიც გაიმართება ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, 12:00-13:45 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 107-ე აუდიტორიაში.

2022 წელს საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების 30 წლისთავი აღინიშნება. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებმა მჭიდრო პარტნიორობის ფორმა მიიღო, რამდენადაც იაპონია მუდმივად ამტკიცებს, რომ ის საქართველოსთვის განვითარების მიმართულებით სანდო პარტნიორი და კონტრიბუტორია. ასევე, იაპონია საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მტკიცედ უჭერს მხარს.

ღონისძიების მიზანია იაპონიასა და საქართველოს შორის პარტნიორობის 30 წლის მიმოხილვა, არსებული მიღწევების შეფასება და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა. დისკუსია წარიმართება პოლიტიკური ნარკვევის გარშემო, რომელიც დოქტ. მარიამ ბიბილაშვილმა, ცუკუბას უნივერსიტეტის იაპონური და ევრაზიული სწავლებების სპეციალური პროგრამის აფილირებულმა მკვლევარმა მოამზადა. აღნიშნული პოლიტიკის ნარკვევის მიხედვით, საქართველო-იაპონიის ურთიერთობების მთავარი გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს მხრიდან საჭიროა იაპონური ბიზნესებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაძლიერება და იაპონია-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პროცესში ქვეყნის სანდო აქტორად ჩამოყალიბება. დისკუსია წარიმართება შემდეგი შეკითხვების გარშემო:

- რა არის იაპონია-საქართველოს შორის ურთიერთობების მთავარი მიღწევები ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში?
- რა ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს ქმნის რეგიონში მიმდინარე პროცესები აღნიშნული პარტნიორობისთვის?
- რა შეიძლება იყოს ახალი ინიციატივები და პროგრამები, რომლებიც კიდევ უფრო გააღრმავებს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს?



დღის წესრიგი:

12:00 - 12:10

ღონისძიების გახსნა

მოდერატორი: პროფ. კორნელი კაკაჩია, დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისი აღმატებულება იაპონიის ელჩი იმამურა აკირა, იაპონიის საელჩო საქართველოში

მედეა თამაზაშვილი, იაპონიის სპეციალისტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

12:10 - 12:30

ევროკავშირი-იაპონიის ურთიერთობები და მისი გავლენა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებზე

მთავარი მომხსენებელი:

დოქტ. ჰიგაშინო ატსუკო, პროფესორი, ბიზნეს მეცნიერებების სკოლა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ცუკუბას უნივერსიტეტი

12:30-12:45

საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: არსებული მიღწევები და პარტნიორობის პერსპექტივები

მომხსენებლები:

დოქტ. მარიამ ბიბილაშვილი, აფილირებული მკვლევარი, იაპონური და ევრაზიული სწავლებების სპეციალური პროგრამა, ცუკუბას უნივერსიტეტი

12:45-13:05

საქართველოსა და იაპონიას შორის ურთიერთობების გამოწვევები და პერსპექტივები ქართული და იაპონური მხარის შეფასებით

დოქტ. ჰიროტაკე მაედა, პროფესორი, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი

ელჩი ვანო მაჭავარიანი, ყოფილი ელჩი, საქართველოს საელჩო იაპონიაში

13:05 - 13:45

პანელური დისკუსიის ორი რაუნდი (კითხვა-პასუხი)